ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY COUNCIL

წერილის ნომერი:**39-39262712**
თარიღი: **28/09/2026**

ადრესატი:

მამუკა რეხვიაშვილი
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონო მამუკა,

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტისათვის სახელის მინიჭების ინიცირების მიზნით.

კერძოდ, ინიცირებულია ქალაქ რუსთავის VII და VIII მიკრორაიონებს შორის მდებარე უსახელო ქუჩისთვის 1921–1927 წლებში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ამბროსი ხელაიას, სახელის მინიჭება.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2026 წლის 24 აგვისტოს №39-39262363 წერილით მივმართეთ საქართველოს საპატრიარქოს. 2026 წლის 9 სექტემბრის №705 წერილით საქართველოს საპატრიარქომ გვაცნობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ინიცირებას.

2026 წლის 20 სექტემბერს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ ზემოთ აღნიშნულ ქუჩის სახელდებასთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრა გამართა ქალაქ რუსთავში, VII და VIII მიკრორაიონის მოსახლეობასთან.

გთხოვთ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოთ საკითხის განხილვისა და შესაბამისი პროცედურების განხორციელება.

ასევე, დანართის სახით წარმოგიდგენთ ტერიტორიის ამსახველ სიტუაციურ გეგმას, შესაბამისი კოორდინატების მითითებით.

დანართი: 3 (სამი) ფურცელი.

პატივისცემით,

გიგა კიკვაძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავმჯდომარე